



ბრძანება N 130

„23“ 06 2017 წელი
 ქ. თბილისი

მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში, მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქალაქო დოკუმენტების განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ ცენტრის დირექტორის 2016 წლის 13 დეკემბრის N293 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე და 63-ე მუხლების, „მასწავლებლის საქმიანობის დანყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2017 წლის 23 ივნისის N734658 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

- შევიდეს ცვლილება „მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში, მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქალაქო დოკუმენტების განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 13 დეკემბრის N293 ბრძანებაში და მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში, მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქალაქო დოკუმენტების განთავსების ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 30 ივნისი.
- დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - tpdc.gov.ge განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.
- ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6. 0131)

დავით ხვედელიძე

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი